სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №75

ქ. რუსთავი 05 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ა.ა.ი.პ. **რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება ილია ჭავჭავაძის სახელობის** მთავარი ბიბლიოთეკა ს.კ 216317064 (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი **დირექტორის თეა ჟვანიას სახით** და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. ,,ტალარია ს/კ 204542860** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") **წარმოდგენილი მისი დირექტორის ლალი ჩიქოვანის სახით, სახელმწიფო შესყიდვების** კანონის მე-3 **მუხლის** 1-ლი **პუნქტის „ს** [1]" (**გამარტივებული შესყიდვა) ქვეპუნქტის** თანახმად, **დებენ** წინამდებარე **ხელშეკრულებას შემდეგზე**

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – ,,ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" –კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი"–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2,1ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონლის შესყიდვა CPV 31520000; 24910000; 44424200; მაგიდის სანათ, წებოები, სკოჩი წებოვანი ლენტები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **157,10** (ასორმოცდაჩვიდმეტი ლარი და 10 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად. ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ხელმოწერიდან, სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, აღნიშნული დასაბუთებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ქ.რუსთავში

6.2 საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.

7.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

8.1 შემსყიდველმა საქონლის მიწოდებისთანავე უნდა ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რომელსაც განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

8.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2 ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 1%-ს, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 11.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

1.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
აიპ « რუსთაველის საბიბლიოთეკო გაერთიანება-ილია ჭავჭავაძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა »	შ.პ.ს. „ტალარია“
ს/კ. 216317064	ს/კ. 204542860
მის: ქ. რუსთაველი შარტავას 11	თიბისი ბანკი TBCBGE22
სახელმწიფო ხაზინა	GE06TB1959036020100001
ბ/კ. TRESGE22	ქ. რუსთაველი კოსტავას 13
ა/ა. GE24NB0330100200165022	
აიპ « რუსთაველის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი	შპს „ტალარია“ დირექტორი
თეა ყვანია	*ლალი ჩიქოვანი*